ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1031039

ნომერი: AR1182508

თარიღი : 05.12.2013

გაცემის თარიღი : 06.12.2013

გაცნობის თარიღი : 06.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აგლაძე , N 1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 04 დეკემბრის #1028570 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 05 დეკემბრის #AR1182508 განცხადებით მომართა ვლადიმერ აბრამიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 04 დეკემბრის #1028570 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 04 დეკემბრის #1028570 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, აგლაძის ქუჩა N1–ში, შპს "რივერს ტაუერსი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.07.002.030), შეთანხმებული გრგ–ს მიხედვით პირველ სექტორში, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის A, B და C ბლოკების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების შესაბამისად, შენობა–ნაგებობის B ბლოკის საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებლად მითითებული იყო 7115,5მ2. სამსახურის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში კი აღნიშნული მაჩვენებელი შეცდომით იქნა დაფიქსირებული, კერძოდ ნაცვლად 7115,5მ2–სა მითითებულია 711.5 მ2.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან სამსახურის 2013 წლის 04 დეკემბრის #1028570 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და B ბლოკის საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებლად დაფიქსირდეს 7115,5მ2.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 04 დეკემბრის #1028570 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და B ბლოკის საერთო ფართობის ციფრობრივ მაჩვენებლად 711.5 მ2–ის ნაცვლად დაფიქსირდეს 7115,5მ2.

2.აღნიშნული ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 04 დეკემბრის #1028570 ბრძანებასთან ერთად;

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.